

რეზიუმე

მსოფლიოს მსგავსად საქართველოშიც - როგორც ერთ - ერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ფულად საკრედიტო ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ისევე, როგორც მრავალფეროვანია საკრედიტო დაწესებულებათა სახეები და ფუნქციონირების წესები.

წინამდებარე სტატიაში განხილულია საქართველოს საბანკო სისტემის მდგომარეობა და ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტები პოსტსაბჭოთა პერიოდში. ასევე, დეტალურადაა მიმოხილული საბანკო კავშირებიდან ეროვნული ბანკის ჩამოყალიბებამდე განვლილი გზა თანამდევი ეკონომიკური მოვლენებით.

ნაშრომი არა მხოლოდ საბანკო სისტემის ზოგადი მდგომარეობის, არამედ პირველი ქართული ფულის მიმოქცევაში ჩაშვების, ეროვნული და კომერციული ბანკების კანონის დონეზე რეგულირების, საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებთან პარტნიორობისა და მთლიანობაში ეკონომიკური სურათის ზაგად მიმოხილვას წარმოადგენს პოსტსაბჭოთა საქართველოში.

Summary

Banking system of Post-Soviet Georgia

Monetary credit relations have a long history in Georgia, as one of the civilized countries. As well as, there are various types of credit institutions and the rules of functioning.

In the article there is discussed the state of the Georgian banking system and the various aspects of the functioning in the post-Soviet period. There is also, detailed review the past way from the banking connection to establishment of the National Bank with related economic events.

The work is not only the general state of the banking system, but also presents the first dropping Georgian money in circulation process, regulation of the national and commercial banks at the level of law, partnership with the international economic organizations and the general review of the economic in the post-Soviet Georgia.

საქართველოში, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, ფულად-საკრედიტო ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ძველად არსებული სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები — ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტები, დღევანდელი საბანკო სისტემის ჩანასახებს წარმოადგენდნენ.

პირველი ქართული ბანკი - თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი - საქართველოში 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა.

1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“. კანონს თან ერთვოდა წესდება, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლებამოსილებანი იყო განმარტებული. კანონის თანახმად, აღნიშნული სტრუქტურას „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა.

1921 წლის 21 თებერვლიდან, როდესაც საქართველომ დაკარგა დამოუკიდებლობა და დამყარდა საბჭოთა წყობილება, მანამდე მოქმედმა „საქართველოს სახელმწიფო ბანკმა“ შეწყვიტა არსებობა და იგი შეცვალა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბანკმა“.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, დღის წესრიგში დადგა არსებული ეკონომიკური სისტემის შეცვლა საბაზრო ეკონომიკით და, შესაბამისად, ამ სისტემისათვის დამახასიათებელი კომერციული საბანკო სისტემის ფორმირება. ეს პროცესი საქართველოში სტიქიურად დაიწყო. ამ პერიოდიდან მოყოლებული დღემდე საქართველოს საბანკო სექტორის განვითარება მიმდინარეობს რთულად და არაერთგვაროვანად.

ცნობილია, რომ საბანკო სისტემა საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთ ურთულეს და აუცილებელ სფეროს წარმოადგენს, რომელიც გარდამავალ ეტაპზე განვითარების თავისებურებებით ხასიათდება და განსაზღვრავს მთელი ეკონომიკური სისტემის ქმედითუნარიანობას.

საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში საქართველოსთვის ახალი ეტაპი 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც ჩვენმა ქვეყანამ, საბჭოთა კავ-

შირის დაშლის შემდეგ, მოიპოვა პოლიტიკური და-
მოუკიდებლობა და დაიწყო ქვეყანაში საბანკო
პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკის აღმავლო-
ბა.

1991 წლის აგვისტოში ოპერატიულმა კანონმა
საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი
საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა,
თუ ვის და როგორ უნდა განეხორციელებინა ფუ-
ლად—საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და
რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქარ-
თველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს
შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართვე-
ლოს ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმ-
ნიფობრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

საქართველოში საბანკო საქმიანობის განვი-
თარების პროცესზე ეკონომიკურთან ერთად სხვა
ფაქტორებიც ახდენდნენ გავლენას. ამ მხრივ აღ-
სანიშნავია პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რის
შედეგადაც მოიშალა ტრადიციული ეკონომიკური
კავშირები. მკვეთრად დაეცა წარმოება და ქვეყანა
ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა. საქართველო მოექცა
ჯერ სამანეთო, შემდეგ კი რუბლის ზონაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსთვის, ისევე რო-
გორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნისათვის, 1990-იანი
წლები იყო ყველაზე რთული პერიოდი. ამ წლებში
ეროვნულმა ბანკმა ვერ უზრუნველყო ქვეყანაში შე-
ქმნილი მდგომარეობის შესაბამისი ფულად-საკრედი-
ტო პოლიტიკის გატარება. ფულად-საკრედიტო სის-
ტემაში წარმოიშვა ქაოსი და პროცესებმა უმართავი
ხასიათი მიიღო. იმ პერიოდში საბანკო ლიცენზიის
მიღება სირთულეს არ წარმოადგენდა. შედეგად, ორ
წელიწადში ასობით ბანკი გაიხსნა და დაიხურა. ხში-
რი იყო კლიენტების მოტყუების შემთხვევები. კერძო
ბანკები მოსახლეობისგან ფულს იღებდნენ, შემდეგ
მუშაობას წყვეტდნენ და ბანკის მფლობელები ქვეყ-
ნიდან გარბოდნენ. ამის გამო საბანკო სისტემაში
ისედაც გაუთვითცნობიერებელმა და მოტყუებულმა
მოსახლეობამ კიდევ უფრო დაკარგა ნდობა ბანკე-
ბის მიმართ. ამას თან ერთვის ისიც, რომ საბჭოთა
კავშირის დროს შემნახველ საღაროებში შეტანილი
ფული ხალხს არ დაუბრუნდა, რასაც მოსახლეობა
დღემდე ითხოვს.

მიუხედავად ფართომასშტაბიანი აფერებისა,
კატასტროფული კრიმინალური ფონისა და საბანკო
კულტურის არარსებობისა, რამდენიმე ქართულმა
ბანკმა 90-იან წლებს გაუძლო და დღემდე მოაღწია.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა
და ეროვნული ბანკის დაარსების პირველ წლებში,
ეროვნულ ბანკს არ გააჩნდა შემდეგი რესურსები: 1.
ფულის საკუთარი (ეროვნული) ნიშანი; 2. ოქროსა
და უცხოური ვალუტის რეზერვები; 3. საკრედიტო
რესურსები.

1993 წლიდან რუსეთიდან შეწყდა საქართველო-
სათვის ფულადი ნიშნების მიწოდება, რასაც შედე-
გად მოჰყვა ხელფასების, პენსიების და სხვა გა-
დასახდელების დაფარვის პრობლემა. ხელისუფლე-
ბამ მიმართა საგანგებო ღონისძიებებს. 1993 წლის

1 აპრილიდან მიმოქცევაში შემოვიდა კუპონი. ყოვე-
ლივე ამან ქვეყანას ფორმულურად დამოუკიდებელი
ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელების
საშუალება მისცა, თუმცა ქვეყანაში ინფლაციის
წლიური მაჩვენებელი 8000 % დაფიქსირდა, ეს იყო
სარეკორდო მაჩვენებელი, როგორც ყოფილ საბჭო-
თა ქვეყნების, ასევე მსოფლიოს მასშტაბითაც. 1994
წლიდან საქართველოში ეკონომიკური რეფორმე-
ბის მეთოდოლოგიური და მეთოდური საკითხების
მონესრიგებაში აქტიურად ჩაერთო საერთაშორისო
სავალუტო ფონდი. 1995 წელს პირველად დამოუკ-
იდებელი საქართველოს ისტორიაში, მიღებული იქნა
სახელმწიფო ბიუჯეტი და დასტილურდა საფინან-
სო-საბიუჯეტო სექტორი. 1995 წელს ეროვნული
ბანკისა და სომხეთის ცენტრალური ბანკის ინიცია-
ტივით შეიქმნა „ამიერკავკასიის და ცენტრალური
აზიის ქვეყნების საბანკო ზედამხედველობის რე-
გიონალური ჯგუფი“ რომლის ეგიდითაც ხდებოდა
„საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“
მიერ შემუშავებული საერთაშორისო სტანდარტების
დამკვიდრება.

1995 წლის 23 ივნისს საქართველოს პარლამენტ-
მა მიიღო „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული
ბანკის შესახებ კანონი“. 1996 წლის 23 თებერვალს
კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახ-
ებ“, რომლის საფუძველზეც დაჩქარდა სრულყოფი-
ლი ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბება.
1995 წლის 25 სექტემბრიდან შემოღებული იქნა
ეროვნული ვალუტა - ლარი. აქედან იწყება კიდევ
ერთი ახალი ეტაპი საქართველოს საბანკო სისტე-
მაში.

1995 წლიდან საქართველოს ეროვნული ბანკის
ზედამხედველობის პოლიტიკა ეფუძნება მსოფლიოს
წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნებისა და „საბანკო
ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის“ მიერ
დადგენილი ეფექტიანი საბანკო ზედამხედველობის
ძირითად პრინციპებს, ხოლო საბანკო ზედამხედ-
ველობის მეთოდად გამოიყენება CAMEL-ის სის-
ტემა, რითაც ხდება ბანკების ადგილზე შემოწმება,
ცალკეული კომპონენტების შეფასებით: C ნიშნავს
კაპიტალს; A — აქტივებს; M — მენეჯმენტს; E —
მოგებას; L — აქტივ-პასივების ლიკვიდურობას.
კომერციული ბანკების მიერ საქართველოს ეროვნულ
ბანკში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების
შესაფასებლად გამოიყენება ასევე CAEL-ის სისტემა,
რომელიც CAMEL სისტემის მოდიფიცირებული ვარ-
იანტია. CAEL ეყრდნობა იმავე პრინციპებს, რასაც
CAMEL იმ განსხვავებით, რომ მასში არ ფასდება
მენეჯმენტი.

2000-2001 წლებში იწყება საბანკო დეპოზიტების
მდგრადი ზრდა. მხოლოდ 2005 წლის პირველ ნახ-
ევარში დეპოზიტების საერთო რაოდენობა 22%-ით
გაიზარდა. ასეთი პროგრესი ქვეყანაში ეკონომი-
კური ზრდით, შემცირებული კომერციული რისკით
და დასავლური სტანდარტების შესაბამისად გაუმ-
ჯობესებული მენეჯმენტის და მომსახურების სისტე-
მით აიხსნება.

საქართველოს საკრედიტო სისტემის სტრუქტურა XXI საუკუნის დასაწყისისათვის შემდეგნაირად გამოიყურებოდა:

- 1) საქართველოს ეროვნული ბანკი;
- 2) კომერციული ბანკები;
- 3) სპეციალიზებული საკრედიტო-საფინანსო ინსტიტუტები.

მნიშვნელოვანია, რომ ქართული ბანკები ეწევიან ტრადიციული კომერციული ბანკების საქმიანობას და არ მონაწილეობენ ისეთ ქმედებებში, როგორიც ახასიათებს საინვესტიციო ბანკებს. ეს, ერთის მხრივ, ამცირებს ქართულ ბანკებში არსებულ რისკებს, ვინაიდან მათი ფინანსური რესურსები არ არის დამოკიდებული ან არ არის კავშირში ისეთ რისკთან საქმიანობასთან, როგორიც არის აქციებით და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებით ვაჭრობა.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ბანკი არის ერთადერთი ბანკი საქართველოში, რომლის აქციები ლონდონის ბირჟაზე იყიდება.

ქვეყანაში შექმნილი მაკროეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად, საკრედიტო სისტემის რაოდენობრივმა პარამეტრებმა უკანასკნელი წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა.

საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემის ახალი სტრუქტურა შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნილებებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ საკრედიტო სისტემის ფორმირებას გააჩნდა და დღესაც გააჩნია რიგი ნაკლოვანებებისა.

მაშინ, როდესაც 1995 წელს საქართველოში იყო 102 ბანკი, 2006 წლისათვის მათი რიცხვი მხოლოდ 17-ს შეადგენდა. დღეს საქართველოში 18 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს. უკვე ცნობილი, რომ 2016 წლის ბოლომდე “ბანკი რესპუბლიკა” შეწყვეტს არსებობას და თიბისი ბანკს შეუერთდება. მანამდე, 2015 წლის იანვარში თიბისი ბანკი და ბანკი კონსტანტა გაერთიანდა. 2017 წლიდან საქართველოში 17 კომერციული ბანკი იქნება, თუ ბაზარზე ახალი ბანკი არ გამოჩნდა.

ბანკების რაოდენობის კლების პარალელურად იზრდება ბანკების ფილიალებისა და სერვისცენტრების რაოდენობა. ეს იმ ფონზე, როდესაც უამრავი მომხმარებელი ინტერნეტბანკს იყენებს, სალაროები, ფაქტობრივად, ფულის ჩასარიცხმა აპარატებმა ჩაანაცვლა. 1996 წელს 61 ბანკს ჰქონდა 242 ფილიალი, დღეს კი 18 ბანკს 955 ფილიალი და სერვისცენტრი აქვს.

ადგილობრივ საბანკო ბაზარზე გამწვავებულმა კონკურენციამ ჩაუყარა საფუძველი მთელ რიგ ახალ, მოქნილ საბანკო მომსახურებებს და პროდუქტებს, ასევე არსებულის გაუმჯობესებას. გაუმჯობესდა ელექტრონული გადახდის ხარისხი. საფუძველი ჩაეყარა კერძო საბანკო ინსტიტუტს. პლასტიკური საკრედიტო ბარათების სისტემა იმდენად განვითარდა, რომ ქვეყნის მასშტაბით პენსიები და სახელმწიფო კომპენსაციები პლასტიკური ბარათების მეშვეობით გაიცემა.

ასევე ვითარდება სამშენებლო და სადაზღვევო

კომპანიების ბანკებთან პარტნიორობის პრაქტიკა.

“საქართველოს ბანკმა” და “თი-ბი-სი ბანკმა” ხელშეკრულებები დადეს საქართველოს წამყვან სამშენებლო კომპანიებთან. ამის შემდეგ ხელმისაწვდომი გახდა გრძელვადიანი იპოთეკური სესხების აღება 13%-15%-იანი განაკვეთით. “თი-ბი-სი ბანკმა” ასევე საფუძველი ჩაუყარა 20 წლიან იპოთეკურ სესხებს, ნაცვლად ათწლიანისა.

2004 წელს ბანკების ჯამური აქტივები 1,7 მილიარდი ლარი იყო. 2016 წლის ივლისის მონაცემებით 26.7 მილიარდი ლარია, ანუ გაზრდილია 15,7-ჯერ. აქტივების ზრდასთან ერთად გაიზარდა ბანკების სააქციო კაპიტალიც. 2004 წელს 400 მილიონ ლარამდე იყო, 2016 წლის ივლისში კი 3.8 მილიარდი ლარი შეადგინა. ეს ნიშნავს, რომ ბანკების რაოდენობის კლების მიუხედავად საქართველოს საბანკო სექტორი იზრდება და მეტ როლს თამაშობს ქვეყნის ეკონომიკაში.

დღეს საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბიზნესი საბანკო სექტორია. ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია მძლავრი, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და საიმედო საბანკო სისტემის შექმნა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, იგი საკმაოდ განვითარებულია და თანდათანობით კიდევ უფრო მეტად იხვეწება და ვითარდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარბაქაძე, ხ. საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში, თბ., 2008.
2. მოსიაშვილი ფ. ლომიძე ფ. ქოქოსაძე. საბანკო საქმე, თბ., 2009
3. მიხანაშვილი, ნ. საქართველოს საბანკო სისტემა, თბ., 2006.
4. მოსიაშვილი, ვ. ლომიძე, ფ. ქოქოსაძე, ფ. საბანკო საქმე, თბ., 2009.
5. ცაავა, გ. საბანკო საქმე, თბ., 2014.
6. <http://www.civil.ge/geo/article.php?id=10823>
7. <http://forbes.ge/news/1674/rogor-viTardeba-qar-Tuli-sabanko-sistema>
8. <http://ihow.ge/rogor-muSaobs-sakredito/>